სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმალური პოლიტიკის განსაზღვრა

ეკატერინე სამუშია

მარიამ ნოზაძე

ნატო მოკვერაშვილი

ჯგუფი #1

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში „საბანკო და საფინანსო საქმეში“ ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ირაკლი კაჭარავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2016)

აბსტრაქტი

ქვეყნისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმალური პოლიტიკის განსაზღვრა. სახელმწიფო ვალი არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე. იგი შედგება ორი ნაწილისგან: საშინაო და საგარეო ვალისაგან. სახელმწიფო ვალის აღრიცხვასა და მის კონტროლზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. არსებობს სახელმწიფო ვალის აღრიცხვის სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოება.

ვალის მართვის საკითხები მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის და ამ საკითხს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება მსაკმაოდ მნიშვნელოვან ყურადრებას უთმობს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა სახელმწიფო ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელიც ეხმარება ქვეყნებს არსებული რეალობის ანალიზში და სამომავლო ვალის მართვის პოლიტიკის განსაზღვრაში.

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია სახელმწიფო ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნები და მიზეზები; მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოზე და მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია საქართველოს სახელწმიფო ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია; მოცემულია სახელმწიფო ვალის მართვის ოთხი განსხვავებული სტრატეგია და მათი რისკების ანალიზი სხვადასხვა შოკების შემთხვევაში. ასევე განხილულია რუმინეთის სახელმწიფო ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია 2015-2017 წწ.